



საქართველოს  
სახალხო დამცველი

№ 4

აეროდული გამოხატა  
2016 წ. აპრილი



# საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემულია ევროპავშირის პროექტის  
„საქართველოს სახალხო დამცველის  
პარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭირით

## 1. სახალხო დამცველის მისალმარა



საქართველოს სახალხო დამცველი  
ურა ნანეაზოლი

აპრილის განსაკუთრებულ მოვლენათა შორის მინდა საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრთა ვიზიტი გამოვყო. მრჩეველთა საბჭოს შექმნა ჩვენი 2013 წლის სამოქმედო სტრატეგიული გეგმის ნაწილი იყო. საბჭოს მიზანია დაეხმაროს სახალხო დამცველს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პრიორიტეტებისა და პერსპექტივების განსაზღვრა-განხორციელებაში.

ნორვეგიის, ჰელსინკის კომიტეტის მრჩეველი ოგებ ბორჩერევინკი და კონფლიქტებისა და თანამშრომლობის ექსპერტი იორგენ იოპანსენი უკვე მესამედ ჩამოვიდნენ, წელს პირველად მოახერხა ჩამოსვლა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების საკითხებში მაინა კიამ, ხოლო მრჩევლის სტატუსით პირველად გვეწვია დამოუკიდებელი ექსპერტი ევა პასტრანა.

შეხვედრებისას მოკლედ მიმოვიხილეთ გასული წლის საქმიანობა, მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, 2015 წელს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კუთხით გამოვლენილი ტენდენციები, ვისაუბრეთ სახალხო დამცველის მანდატის გაფართოვების შედეგად აპარატში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებზე.

მიხარია, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა დადგებითად შეაფასეს ჩვენი მუშაობა და სასარგებლო რჩევებიც მოგვცეს. ასევე შეიმუშავეს წერილი პარლამენტისა და მთავრობისადმი, რო-

### მინერსი:

1. სახალხო დამცველის მისალმარა	1
2. სახალხო დამცველის საჯარო გაცხადებები	3
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილების შახვებრები და სამორისმოს ვიზიტები	4
4. სახალხო დამცველის რაკომიტეტის და თოვლადებების სახელმოწოდებულებისა და ადგილობრივი თავითმართველობების ორგანოებას	6
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა	7
რაგონელი დეკარტამენტის პაროდული საქმიანობა	10
სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული დონის განვითარებისა და მოწინავების დონი	12
6. ნარატივული საქმიანობა	12
7. ლირსესანიშვილი თარიღები	12
8. სამორისმოს სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კამისით	14
9. სახალხო დამცველის აპარატის ამზადებელი ექსპერტი ევა პასტრანა	15

მელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია სახალხო დამცველის ოფისის სათანადო შენობით უზრუნველყოფაა.



საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მონაწილეობით ჩავატარეთ ჩვენი ტრადიციული საჯარო დებატები თემაზე – **შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება – მიღწევები და გამოწვევები.** ლონისძიებაზე მაინა კიაის 2012 წლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა განვიხილეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების თავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ რეკომენდაციათა ნაწილი გაითვალისწინა; კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც სპეციალური მომხსენებლის კრიტიკის საფუძველი იყო; გაუმჯობესდა საარჩევნო გარემოც, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მაჟორიტარული ოლქების ხელახლა გადანაწილებასთან დაკავშირებით. თუმცა, მიმართია, რომ საარჩევნო ოლქების ფორმირების ახალი წესი არ ითვალისწინებსა დაგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და ბუნებრივად ჩამოყალიბებულ გეოგრაფიულ არეალებს; ჯერ კიდევ მოუგვარებელია გენდერული თანასწორობის საკითხები, დასახვენია კვოტების სისტემა.



დასახვენია „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონი. კერძოდ, კანონი

კვლავ არ ითვალისწინებს სპონტანური აქციების გამართვის შესაძლებლობას; შეკრების უფლება სრულად შეზღუდული აქვთ სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებს. მაინა კიაიმ დადგებითად შეაფასა ადმინისტრაციული პატიმრობის 90 დღიანი ვადის შემცირება 15 დღემდე, თუმცა, ურჩია საქართველოს ხელისუფლებას გააუქმოს ადმინისტრაციული პატიმრობა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების გამოყენების შემთხვევებში.

იორგენ იოპანსენი სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში უურნალისტებისთვის გამართულ ტრენინგს გაუძლვა. კონფლიქტების, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების თემატიკაზე მომუშავე უურნალისტებთან ექსპერტმა ისაუბრა კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში ადამიანის უფლებების დაცვაზე, როგორც კონფლიქტების ტრანსფორმაციის ეფექტურ მექანიზმზე, მედიის როლზე კონფლიქტების მოგვარებასა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

აპრილში მოწვევის წერილი გავუგზავნე გაეროს სპეციალურ მომხსენებელს სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ ქალბატონ ლეილა ფაპრას. უსახლკარო პირების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის კუთხით სახელმწიფოში სისტემური პრობლემები გვაქვს. კერძოდ, ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული უსახლკარობის დასაძლევად საჭირო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; არ არსებობს უსახლკარო პირების შესახებ მონაცემთა ბაზები, ეროვნულ დონეზე არსებული უსახლკარო პირის დეფინიცია არ ფარავს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სათანადო საცხოვრებლის უფლების ფარგლებში გათვალისწინებულ სუბიექტებს.

ვიმედოვნებ, რომ გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან წარმატებული თანამშრომლობისა და ვიზიტის შემთხვევებში, მთავრობისა და სხვა პასუხისმგებელი მხარეების რეაგირების ღონისძიებები უფრო ეფექტური გახდება და ქვეყნის მასშტაბით უსახლკაროთა მდგომარეობა გაუმჯობესდება.

აპრილში საქართველოს **საკონსტიტუციო სასამართლომ დაკავმაყოფილა ჩვენი სარჩელი ე.ნ. „მოსმენებთან“** დაკავშირებით და მიმართია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის ფლობა, ადმინისტრირება და მასზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა, ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის მომეტებულ რისკებს შეიცავს, ამავდროულად, არაკონსტიტუციურია კანონის ჩანაწერი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 2

წლის ვადით კოპირებისა და შენახვის შესახებ.

**აპრილში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატად ირინა ფუტ-კარაძე წარვადგინე, რომელმაც ჩემი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების საინტერესო, რეალისტური და შედეგებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმა წარმოადგინა.**

გადახედეთ ქვემოთ წარმოდგენილ საინფორმაციო ბიულეტენს, სადაც კიდევ უამრავ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იხილავთ.

## 2. სახალხო დამსველის საჯარო განხევადები

### 2.1. განხევადება თელავის დროებითი მოთავსების იზოლაციური დაკავებულის გარღვევალების შესახებ

**აპრილში საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა 14 მარტს დაკავებული ბ.თ.-ს 15 მარტს თელავის დროებითი მოთავსების იზოლაციონში გარდაცვალების შესახებ.**

თელავის დროებითი მოთავსების იზოლაციონში მყოფი ბ.თ. 15 მარტს, დილით შეუძლოდ გახდა. იზოლაციონის თანამშრომლებმა გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რომელთაც დაკავებულმა განუცხადა, რომ იმყოფებოდა ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს გამომძიებელს. ბ.თ.-სთან ერთად იზოლაციონში მყოფი პირის განმარტებით, დაკავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების წასვლის შემდგომაც ითხოვდა შველას, თუმცა ექიმი აღარავის გამოუძახია. ბ.თ აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის მიზნით სასამართლოში გადაყვანამდე, იზოლაციონის დერეფანში გარდაიცვალა.

სახალხო დამცველმა მოუწოდა გამოძიებას არ დატოვოს პასუხებულებელი კითხვები არც ბ.თ.-ს გარდაცვალებასთან და არც პოლიციის თანამშრომლების შესაძლო არასათანადო რეაგირებასთან დაკავშირებით. სადავოა ასევე, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაწყება.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ **19 აპრილს**, საქმის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, კანონის თანახმად, ბ.თ.-ს პირად საქმეში არსებული დოკუმენტების ასლები მოითხოვა. იზოლაციონის ხელმძღვანელობა რამდენიმე საათი არკვევდა დოკუმენტაციის გაცემის საკითხს. საბოლოოდ, სახალხო დამცველის რწმუნებულს მოთხოვნილი ასლები გადაეცა, თუმცა, პოლიციის თანამშრომლების უკანონო ქმედების გამო, მისი საქმიანობა შეფერხდა.

### 2.2. განხევადებები სამაუწყებლო სივრცეში არსებული სტილების, დისპრიმინაციის ზეაზველი და ჰომოფობიური დამოკიდებულების თაობაზე

**20 აპრილს სახალხო დამცველი გამოეხმაურა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ სატელევიზიო შოუ „პროფილის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და აღინიშნა, რომ მედია საშუალებები ხშირად ხდებიან სტიგმატიზაციისა და სეგრეგაციის, სიძულვილის ენის, სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის წყარო. სატელევიზიო პროგრამების/გადაცემების ფორმატში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული პომოვობიური, დისკრიმინაციული და სექსისტური ტენდენციები. მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის ლირსებას, უფლებებსა და თავისუფლებებს და არ შეუწყოს ხელი სტერეოტიპებისა და სტიგმის გაძლიერებას. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ სამაუწყებლო კომპანიებს აკისრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას. უურნალისტური ეთიკის ქარტიის თანახმად, უურნალისტმა უნდა გააცნობიეროს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე და ყველა ზომას უნდა მიმართოს ამ კუთხით ნეგატიური პროცესების/შედეგების თავიდან აცილების მიზნით.**

სახალხო დამცველის შეშფოთება გამოიწვია ასევე **23 აპრილს**, ტელეკომპანია **GDS-ის** გადაცემა „ბინა 18-ში“ გასულმა სიუჟეტმა, რომელიც პომოვობიური განწყობების გაღვივებასა და დისკრიმინაციული ქმედებების წახალისების კენაა მიმართული. ტელევიზიით გასული მსგავსი სიუჟეტი აშკარად უწყობს ხელს უარყოფითი სტერეოტიპული შეხედულებების გაძლიერებას ლგბტ ადამიანების მიმართ და ახალისებს სხვადასხვა სფეროში დისკრიმინაციული მოტივით მათი უფლებების შეზღუდვას.

მაღალრეიტინგულ მედია საშუალებებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა და გავლენა აქვთ საზოგადოების ცნობიერების ფორმირების თვალსაზრით. სახალხო დამცველმა მოუწოდა სამაუწყებლო კომპანიებს და სხვა მედია საშუალებებს, რომ ნებისმიერი პროგრამის/გადაცემის მომზადებისა და გაშუქების პროცესში იხელმძღვანელონ მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპებით.

### 2.3. განხევადება 2015 წლის საკარტუმინტო ანგარიში ასახულ რელიგიის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით

**21 აპრილი.** საპარლამენტო ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომ სისტემატიური ხასიათი

მიიღო რელიგიის თავისუფლების თავში ასახული პრობლემატიკისა და შეფასებების მიზან-მიმართულმა დამახინჯებამ. კერძოდ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა სახალხო დამცველი ბავშვების ექსკურსიაზე ტაძრებში წაყვანის აკრძალვას ითხოვს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში წლებია საუბრობს საჯარო სკოლებში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევაზე, რაც ცალკეულ შემთხვევებში გამოიხატება საგაკვეთოლო პროცესის ლოცვით დაწყებაში, არააკადემიური მიზნით სალოცავი კუთხეების მოწყობაში, სასულიერო პირების სკოლებში მოწვევასა და მათ მიერ სკოლის, საკლასო ოთახების კურთხევაში, მოსწავლებლების რელიგიურ რიტუალებში ჩაბმაში, მასწავლებლების მხრიდან განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე მოსწავლეებთან არათანაბარ დამოკიდებულებაში და სხვა. კანონი კრძალავს სასწავლო პროცესის რელიგიური მიზნებისათვის გამოყენებას, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით გამოფენას, რელიგიურ რიტუალებში მოსწავლეების ჩაბმასა და სხვა.

სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით კიდევ ერთხელ განმარტა, რომ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში არ არის საუბარი მოსწავლეების ექსკურსიებზე, მათ შორის, ისტორიული ძეგლების, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების საკულტო ნაგებობების მოსანახულებლად წაყვანასა და არც მათი აკრძალვის საკითხზე.

**სახალხო დამცველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მდგომარეობას საგანგაშოდ აფასებს**

**22 პრილი.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემებიდან მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შრომის უფლების რეალიზება. სიიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგისტრაციის ერთიან ონლაინსისტემაში დარეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია.

მიუხედავად სახელმწიფოს დეკლარირებული ნებისა – უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რიგი პროექტების არსებობისა, სათანადო სამართლებრივი გარანტიების, პრაქტიკული ხელშეწყობისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმების ნაკლებობის გამო ამ პირთა შრომის უფლების რეალიზება სათანადოდ ვერ ხერხდება.

### 3. სახალხო დამსახურის და სახალხო დამცველის მოაღგილების შევეღრისები და საერთაშორისო ვიზიტები

#### 3.1. სახალხო დამსახურის ურნალისტებთან დამოუკიდებელი საგამოძიებო ევანიზმის შექმნის საჭიროების საკითხზე უურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა.

**6-7 პრილის** საქართველოს სახალხო დამცველის ურნალისტების ინიციატივით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროების საკითხზე უურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის რეკომენდაცია სახალხო დამცველმა 2013 წელს შეიმუშავა, თუმცა მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, იგი ამ დრომდე შეუსრულებელია.



შეხვედრას ესწრებოდნენ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბების მხარდამჭერი ორგანიზაციების: ევროსაბჭოს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატისა და ფონდი „ლია საზოგადოება საქართველოს“ წარმომადგენლები, ასევე, 20 უურნალისტი ცენტრალური და რეგიონული მედიიდან.

სახალხო დამცველმა ისაუბრა ინსტიტუციურად დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის საჭიროებასა და მოდელებზე; ყურადღება გამამახვილა როგორც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზებზე, ასევე პრაქტიკის შედეგად დამკვიდრებულ დაუსჯელობის სინდრომზე. კანონპროექტზე მსჯელობისას დისკუსია წარიმართა რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის იურისდიქცია დანაშაულებთან და დანაშაულის ჩადენის დროსთან მიმართებაში, ბრალმდებლის უფლებამოსილების განხორციელება, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ხელმძღვანელისა და სხვა კადრების შერჩევის წესი, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხები, სხვა და სხვა ქვეყნის პრაქტიკა და მოდელები.

### 3.2. შეხვედრა ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უაღლეს კომისართან

**13 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლეს კომისარს ასტრიდ თორსს შეხვდა. პაატა ბელთაძემ სტუმარს ინფორმაცია მიაწოდა 2015 წელს ეროვნული უმცირესობების ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობისა და სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში შესული რეკომენდაციების შესახებ. შეხვედრაზე განიხილეს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015–2020 წლების სამოქმედო გეგმა; ასევე, გადაწყვეტილების პროცესში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის ხარისხი; მშობლიური ენის სწავლების მდგომარეობა და მედიისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით არსებული პრობლემები; კულტურული იდენტობის შენარჩუნების საკითხები.



ისაუბრეს ანტი დისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესში, ეროვნული უმცირესობების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებზე სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე და შესწავლილ საკითხებზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ფუნდამენტური ღირებულებების დაცვაზე. სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესებს დაეთმო.

### 3.3. სახალხო დამსახური კავანი „ეს შეგეხებას“ წევრებს შეხვდა

**13 აპრილს** სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე კამპანია „ეს შენ გეხებას“ წევრებს შეხვდნენ. არასამთავრობო სექტორთან სახალხო დამცველმა სამი ძირითადი თემა – დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება, მოსმენების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმირების საკითხები განიხილა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ რიგ საკითხებზე სახალხო დამცველისა და არასამთავრობო სექტორის პოზიციები თანხვე-

დრაშია - მათ ერთობლივად შეიმუშავეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ კანონპროექტი და რომ შეხვედრის მიზანი მიმდინარე საკითხებზე ინფორმაციის გაცვლას ემსახურებოდა.

### 3.4. შეხვედრა გაეროს აღამიანის უფლებების უაღლესი კომისარის საესიალურ მომსახულებისათვის

**15 აპრილს** სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე და სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი მაია გედევანიშვილი გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარის სპეციალურ მომხსენებელს ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებში, ქალბატონი მო დე ბო-ბუკიკიოს შეხვდნენ.

პაატა ბელთაძემ სტუმარს გააცნო სახალხო დამცველის ხედვასა და საქართველოში ბავშვის მიმართ ძალადობის, ბავშვებით ვაჭრობისა და ბავშვთა პროსტიტუციის საკითხებთან დაკავშირებით, ისაუბრა არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე; აღნიშნა, რომ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დახვეწას საჭიროებს ასევე შვილად აყვანის წესი, რომლის მიხედვითაც, შვილად აყვანის მსურველი წლების მანძილზე ელის თავის რიგს.

მაია გედევანიშვილმა ისაუბრა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის და მის ფარგლებში მოქმედი დღის ცენტრების, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრებისა და ტრანზიტული ცენტრების, აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებადი მობილური ჯგუფების შესახებ, რომლებიც ქუჩაში მუშაობენ ბავშვებთან; ასევე ბავშვთა პროსტიტუციის სავარაუდო ფაქტების იდენტიფიკაციის შემთხვევებზე.

მიღებულ ინფორმაციას სპეციალური მომხსენებელი თავის ანგარიშში გაითვალისწინებს, რაც კიდევ მეტ სტიმულს მისცემს სახელმწიფოს გააძლიეროს ბავშვის მიმართ ჩადენილი ყველა სახის არასათანადო მოპყრობის, ტრეთიკინგის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შემთხვევათა გამოვლენა და მათზე სათანადო რეაგირება.

### 3.5. საქართველო-ევროკავშირის აღამიანის უფლებების შესახებ დისალოგის მეცნიერების შეხვედრა

**20 აპრილს**, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის რიგით მეცხრე შეხვედრას დაესწრო და

მოხსენება გააკეთა საქართველოში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, მნიშვნელოვან რეფორმებზე, მათ შორის, პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და სუიციდის პრევენციის პროგრამის დანერგვაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალ კოდექსზე, შეკრებისა და გაერთიანების, ასევე გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ფაქტების შემცირებაზე.

ნათია კაციტაქემ დეტალურად ისაუბრა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის იმპლემენტაციის პროცესზე; სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების რაოდენობასა და შინაარსზე. ყურადღება გააძახვილა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების, ასევე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დოკუმენტირებასა და გამოძიებაზე, ვიდეო ჩანაწერებთან დაკავშირებულ დარღვევებზე, მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ხარვეზებზე, ე.წ. „ოდეერების“ არსებობის საკითხზე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დარღვევის, მათ შორის გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვაზე.

ევროკომისიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების მნიშვნელობას შრომის ინსპექციისა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ.

### 3.6. სახალხო დამსახურის გარემონაში მობუღებელი საერთაშორისო ინსტიტუციის მობილურ სამსახურის დამსახურ

**26–27 აპრილს** კატალონიის ომბუდსმენის რაფერლ რიბოს მოწვევით, საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ბარსელონაში გამართულ საერთაშორისო სემინარს დაესწრო, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ომბუდსმენებმა ადამიანის უფლებათა წინაშე არსებულ თანამედროვე გამოწვევებსა და საფრთხეებზე ისაუბრეს.

სემინარზე განიხილეს ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში უსაფრთხოების მდგომარეობის შემაშფოთებელი ტენდენცია, რაც რისკის ქვეშ აყენებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ასევე ისაუბრეს ღირებულება კრიზისა და მისგან გამოწვეულ ეკონომიკური პრობლემებზე, რასიზმისა და ქსენოფობის საფრთხეებზე.

## 4. სახალხო დამსახურის

რეკომენდაციები და წინაღალების სახელმიწოდებელის უფლებისა და აღგილობრივი თვითმმართვისა და მომართვის მომართვის მომდინარეობის შეზღუდვის ფაქტების შემცირებაზე.

### 4.1. რეკომენდაცია არასრულწლოვან კატიონართა დახურული ტიპის საყრდენისათვის გადაყვანის მართლზომიერის შესახებ

**13 აპრილს** სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრს მსჯავრდებული არასრულწლოვნების არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის N8 და N2 პენიტენციურ დაწესებულებებში დროებით გადაყვანის მართლზომიერების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ არასრულწლოვანი პატიმრები სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან, გაცხადებული მიზეზისა და დისციპლინური სახდელის გამოყენების გარეშე გადაყავთ სასჯელადსრულების დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობა, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კანონმდებლობის მიხედვით უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. არასრულწლოვნებმა სასჯელი უნდა მოიხადონ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებში; არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა ხდებოდეს მისი გადაყვანა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განუსაზღვრელი ვადითა და დასაბუთების გარეშე, რათა არ შეფერხდეს რეაბილიტაციის პროცესი.

### 4.2. უკანონო დაკავების ფაქტებზე

გამოძიების დაწესების წინაღალების საერთო მოვალეობაზე

**15 და 18 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველმა უკანონო დაკავების ფაქტებზე გამოძიების დაწყების წინადადებებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ორი შემთხვევა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოქალაქეები ადმინისტრაციული წესით დაკავეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში შეასახლეს. იზოლატორში კი დაკავებულები სასამართლოში წარადგინეს და

მხოლოდ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუ-  
ფლეს.

დაკავებისა და სასამართლო სხდომის ოქმების მიხედვით, ერთ შემთხვევაში მოქალაქე ადმინისტრაციული წესით 20 საათის და 25 წუთის განმავლობაში იყო დაკავებული, მეორე შემთხვევაში 19 საათის და 17 წუთის განმავლობაში; მაშინ როცა, ორივე შემთხვევაში, დაკავებულები უნდა გაეთავისუფლებინათ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ადმინისტრაციული დაკავების 12-საათიანი ვადის გასვლისთანავე.

#### 4.3. რეკომენდაცია ხაშურის მუნიციპალიტეტს

**21 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე მ.პ.-ს დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიასა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს რეკომენდაციით მიმართა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი განყოფილების სპეციალისტი მ.პ. სამსახურიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს. ბრძანებას საფუძვლად დაედო საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნა, რომლის თანახმადაც მ.პ. არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას.

საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ არ არსებობს ოქმი, სადაც ასახულია შეკითხვები და კანდიდატის პასუხები, არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას, თუ რატომ მიიღო კომისიამ თანამშრომლის გათავისუფლების გადაწყვეტილება; არც გამგებლის ბრძანება შეიცავს რაიმე დამატებით დასაბუთებას.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ როგორც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, ისე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებები მიღებულია მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დარღვევით, რითაც იღახება მ.პ.-ს შრომის უფლება.

#### 4.4. არასასამართლო მოყვრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადაღება საქართველოს მთავარ კორკესორის

**27 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე გ.ა.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების

დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

მოქალაქის განმარტებით, იგი 25 აპრილს თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, დაადეს ხელბორკილებიდაჩასვეს პოლიციელთა ავტომანქანაში. გ.ა.-ს განცხადებით, პოლიციელებმა მას ფიზიკური და სიტყვიერ შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც დაკავებისას, ასევე დაკავების შემდგომ. ამასთან, მას და მის ოჯახის წევრებს გაუპატიურებით დაემუქრნენ.

თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლაციორში შედგენილი გარეგნული დათვალიერებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმების მიხედვით, გ.ა.-ს სხეულის დაზიანებები აღნიშნება.

### 5. სახალხო დამსახურისა და სახალხო დამსახურის აპარატის საქმიანობა

#### 5.1. რეპიზითა საბჭოს სამუშაო შეხვედრა

**13 აპრილს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო უწყებებისადმი წარსადგენი რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავჯდომარე თათული თოდუა და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლები.



შეხვედრაზე რელიგიათა საბჭოს წევრებმა, დარგის ექსპერტებთან ერთად, განიხილეს რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც ისეთ პრობლემატურ საკითხებს შეეხება, როგორიცაა: შეუწყნარებლობით მოტივირებული ძალადობის არაეფექტური გამოძიება, არაეფექტური ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, საგადასახადო უთანასწორობა, ტოლერანტობის კულტურის დაბალი ხარისხი

განათლების სისტემაში, საკულტო ნაგებობების დაბრუნებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი, მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ბარიერები და მედიასთან დაკავშირებული საკითხები.

## 5.2. სასამართლო მეზობელის (AMICUS CURIAE) მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს

**13 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ პარკირების სპეციალური სადგომებით სარგებლობის შესახებ საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

თბილისის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ პარკირების სპეციალური სადგომებით სარგებლობაში დისკრიმინაციული ხელშეშლა არაპროპორციულად აფერხებს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თავისუფალი განვითარების უფლებას, რომელთაც საკუთრებაში არ ჰყვათ ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ვინაიდან, სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება შშმ პირთა საჭიროებებს, სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში და შშმ პირთა მიზნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული ნორმატიული ბაზის შექმნაში. სახალხო დამცველმა შეისწავლა და სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში ასახა ამ მიმართულებით სხვა ქვეყნებში მოქმედი რეგულაციები და დამკვიდრებული პრაქტიკა, მათ შორის: ავსტრალიაში, ბელგიაში, დანიაში, ესტონეთში, ირლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ლიტვაში, ნიდერლანდების სამეფოში და სხვა.

## 5.3. მიზანმდებარების ერთობლივი რარიტერიტი მონიტორინგი

**15 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მეოთხედ ანარმოეს ევროკავშირის ქვეყნებში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში დაესწრნენ გერმანიდან და საბერძნეთიდან საქართველოს 25 მოქალაქის დაბრუნების პროცესს.

დასაბრუნებელი პირების მობილური ტელეფონები ბარგთან ერთად დაიღუქა და მხოლოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლების ძალისხმევით შესძლეს ოჯახებთან ტელეფონით დაკავშირება. მგზავრობამ მშვიდ გარემოში ჩაიარა.

## 5.4. სახალხო დამსახული პარტია პრეზიდენტი განახლებულ განალებების მიზანით

**15-17 აპრილს** სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგის მიზანს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება წარმოადგენდა.

ტრენინგს გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი არმან დანიელიანი უძლვებოდა. ტრენინგზე წარმოდგენილი იყო წამების პრევენციის კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტები; გაიმართა დისკუსია სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის ორგანიზაციულ ასპექტებსა და ანგარიშების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინტერვიუს ტექნიკაზე. მიმოიხილეს ანგარიშის სახეები და სტანდარტული სტრუქტურა. ტრენინგის განმავლობაში არაერთი პრაქტიკული სავარჯიშო გაკეთდა.

## 5.5. საქართველოს სახალხო დამსახულის თარომატებული განალებების მონიტორინგი

**19 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა №8 პრევენციულ დაცულებულებაში საერთაშორისო დაცვით მოსარგებლების თავდასხმაში ბრალდებული ს.წ. მოინახულეს. ს.წ.-მ (ინტერნეტმეტსახელით სპლიუვი) „თბილისის ფორუმზე“ გახსნა ერთ-ერთი თემა, რომლის მიხედვითაც, ის თითქოსდა ამზადებდა თავდასხმას საქართველოში აშშ-ს ელჩზე.

**15 აპრილს** თბილისის საქალაქო სასამართლომ პროცესურატურის მოთხოვნის საფუძველზე მას აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებული მისთვის წაყენებულ ბრალს არ აღიარებს. ამასთან, დანესებულების აღმინისტრაციის მისამართით რაიმე პრეტენზია არ გამოუხატავს. სახალხო დამცველმა საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო.

**5.6. შვილის უფლებაზე კონვენციის  
კოვალურიზაციის, დაცვისა და  
გაცემის მონიტორინგის  
საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა**

**22 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე და საბჭოს მოწვეული წევრები.



საბჭომ განიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ სახელმწიფოს პირველადი ანგარიში. იმსჯელა შემ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მეთოდოლოგიის გამოყენების გეგმასა და საკონსულტაციო საბჭოს წევრების მიერ შემ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე სხვა აღტერნატიული ანგარიშების მომზადების პროცესში მონაწილეობაზე.

**5.7. სასამართლოს მოსაზრების მოსაზრება  
გენერაციი მიზნით დისკრიმინაციის  
სავარაულო ფაქტთან დაკავშირებით**

**22 აპრილს** სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საგარაუდო ფაქტთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ნ.გ-მ მონაწილეობა მიიღო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულ კონკურსში, წარმატებით გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი და კომისიის მხრიდან სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით ვერ მიიღო დადებითი შეფასება.

სასამართლო განხილვის ეტაპზე, თავის ჩვენებაში კომისიის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ შესასრულებელი საქმის სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობა მა-მაკაცისთვის შესაფერისად მიაჩნია.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ნ.გ-ს სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ სამუშაოს არსის გათვალისწინებით, მოთხოვნა ორიენტირებული უნდა იყოს სამუშაოს სპეციფიურ ელემენტზე და არ იწვევდეს პირთა ჯგუფის სქესის ან სხვა ნიშნით ავტომატურ გამორიცხვას; ამასთან, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას, თანასწორუფლებიანობის დარღვევის საპირწონე არგუმენტად ვერ განიხილება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საკონკურსო-სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება თავის თავში მოიაზრებს დისკრიმინაციული მოტივებისგან სრულიად თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას.

**5.8. ბოშების დლევალელობა  
საქართველოში**

**26 აპრილს** საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა „ბოშების დლევანდელობა საქართველოში“.

„მნიშვნელოვანია, ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, ხელი შევუწყოთ ქსელური ინიციატივებს, რომელიც გაზრდის ბოშათა თემის ხელმისაწვდომობას განათლებაზე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემებზე, დასაქმებაზე; ეს ინიციატივები კოორდინირებული უნდა იყოს და, პირველ რიგში, ხელს უწყობდეს ბოშათა თემის ინფორმირებას თავიანთი უფლებების შესახებ“ - განაცხადა სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ღონისძიების გახსნაზე.

მონაწილეებმა ისაუბრეს ბოშების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის პრობლემატიკაზე, ბოშა ბავშვების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულობის წარმატებულ და წარუმატებელ მაგალითებზე, საქართველოში ბოშა ქალთა უფლებების მდგომარეობაზე. სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა იზაბელა ოსიპოვამ ბოშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

სახელმწიფო უწყებების მიმართ გაგზავნილი საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები წარმოადგინა.

## რეგიონული დაცარტამანის სამინისტრო

### 5.9. სახალხო დამსახურის ნარმომადგენლების შეხველრეაზ ევამ ეართობი

**31 მარტს და 6 აპრილს, სახალხო დამცველის აპარატის ქვემო ქართლის ოფისის წარმომადგენელებმა ირმა მჭედლიძემ და მურადხან გუსეინოვმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეხვედრები გამართეს. სადახლოში მიმდინარე შეხვედრას საზღვრისპირა სოფლის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ, ხოლო თეთრიწყაროს გამგეობაში რეგიონული ოფისის წარმომადგენლები შეხვდნენ გამგებელს, გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელებს და სხვა თანამშრომლებს.**



ირმა მჭედლიძემ და მურადხან გუსეინოვმა მონაწილეებს გააცნეს ქვემო ქართლის ოფისის შემადგენლობა და სახალხო დამცველის მანდატი. ისაუბრეს რეგიონში არსებულ პრობლემებზე: სოციალური დახმარების მიღების, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციის, საზღვრისპირა სოფლებში მიწის სავარგულებით სარგებლობის, მოქალაქეობის, ბინადრობის მიღებისა და სახალხო დამცველის როლზე აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში. მონაწილეებს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული ბროშურები გადასცეს.

**13 აპრილს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე ქვემო ქართლის ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების, მარნეულის მუნიციპალიტეტის არასამთავრობო სექტორისა და მედიის, ასევე რეგიონის რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში ასახული ის თემები გააცნო, რომლებიც ქვემო ქართლის რეგიონს ეხება.**

შეხვედრაზე იმსჯელეს რეგიონში არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემებზე; ხაზი გაუსვეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების მნიშვნელობას ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონის ადგილობრივ წარმომადგენლებთან იმ გამოწვევების ფონზე, როდესაც კვლავ დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

### 5.10. საინფორმაციო შეხველრა შილა ეართობი

**2 აპრილს სახალხო დამცველის შილა ქართლის რეგიონული ოფისის წარმომადგენლებმა ხაშურის სამოქალაქო ჩართულობის განვითარების ცენტრის ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.**

შეხვედრას 18-დან 45 წლამდე სოციალურად დაუცველი ქალები ესწრებოდნენ. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს სახალხო დამცველის მანდატი და დამსწრე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ისაუბრეს ოჯახში ძალადობის თემაზე.

შეხვედრა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვები ეხებოდა საკუთრების უფლების რეგისტრაციას, ქორწინებას, მეუღლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობებს, ალიმენტის საკითხებს, მეურვეობასა და მზრუნველობას, მემკვიდრეობას და სააღსრულებო წარმოებას.

### 5.11. შეხველრა რეკარტრიანტ მესხებთან

**5 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპატარტამენტის იმერეთის, რაჭალეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა თამთა ჩეჩელაშვილი სამტრედის მუნიციპალიტეტის სოფელიანეთის მეცხრე უბანში დასახლებულ რეპატრიანტ მესხებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს რეპატრიანტთა მდგომარეობაზე, ასევე ზოგადად რეგიონში არსებულ სხვადასხვა სახის პრობლემებზე, მათ შორის, გზისა და გაზმომარაგების საკითხებზე.**

### 5.12. შეხველრა სამართლო-ზემო სვანეთის რეგიონის სამოქალაქო განათლების სკოლის მსახილებთან

**6 აპრილს სახალხო დამცველის რეგიონული დეპატამენტის სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ლევან პაპავა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზუგდიდის ოფისში სამოქალაქო განათლების საკურაო სკო-**

ლის მსმენელებს შეხვდა და ინფორმაცია მიაწოდა სახალხო დამცველის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპების, პროცედურისა და ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეაგირების მეთოდების შესახებ.

### 5.13. შეხვედრები სამსახურების სამსახურების მიმმართვის

**6 აპრილს** სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის ოფისის წარმომადგენლები სალომე ყულჯანიშვილი და ანდრანიკ ბალდასარიანი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებელს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნინოწმინდის განყოფილების წარმომადგენლებს შეხვდნენ და მოქალაქეებისაგან შემოსულ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხები განიხილეს. მათ შორის, სოციალური მომსახურების სააგენტოს როლი ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენისას, აღრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების პრევენცია და სამომავლო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

დღის ბოლოს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკის საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მაცხოვრებლებს, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, სოციალურ მუშაქებს ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი მედიის და ნინოწმინდის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია სახალხო დამცველის მანდატზე, განცხადების მიღების წესზე, ადამიანის უფლებებსა და სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალურ ანგარიშზე, აღრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით.



მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებსა და მათ დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

### 5.14. სახალხო დამცველის ზავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელისა და კახეთის გავრცელების კომიტეტის წევრების შეხვედრა

**12 აპრილს** სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი მაია გედევანიშვილი თელავში ბავშვთა დაცვის კომიტეტის წევრებს შეხვდა. ღონისძიება სახალხო დამცველის თელავის ოფისისა და ორგანიზაცია World vision-ის კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ორგანიზებით მოეწყო.



შეხვედრაზე ისაუბრეს კომიტეტის მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე, მათ პროფესიულ საქმიანობასა და ჩართულობაზე, ბავშვთა უფლებების მნიშვნელობაზე და რეგიონში არსებულ გამოწვევებზე.

ბავშვთა დაცვის კომიტეტის წევრები არიან რეგიონში ბავშვთა დაცვის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები, მათ შორის სახალხო დამცველის წარმომადგენელი ნათია ფიცხელაური.

### 5.15. საინფორმაციო შეხვედრები იმართვის რეგიონის გასხვანებისათვის

**6 აპრილს** სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩეზუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე და სახალხო დამცველის წარმომადგენელი თამთა ჩეჩელაშვილი ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს შეხვდნენ, რომლებიც დევნილთა გრძელვადიანი უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართით. შეხვედრაზე დევნილთა უფლებებსა და მათ პრობლემებზე ისაუბრეს.

**9 აპრილს** სახალხო დამცველის წარმომადგენ-ლები ცაგერის მუნიციპალიტეტის **სოფელ ქვედა ალვში** მეწყრისაგან დაზარალებულ ორ ოჯახს შეხვდნენ და მათ მდგომარეობას გაეცნენ. ორივე ოჯახი საჭიროებს განსახლებას, მათი საცხოვრებელი სახლები ამორტიზებულია და საშიშია სიცოცხლისათვის.

**17 აპრილს** ცაგერის რაიონ **სოფელ სპათაგორში** ადგილობრივ მაცხოვრებლებთან გამართულ შეხვედრაზე სოფელის ინფრასტრუქტურული პრობლემები შეიტყვეს. სპათაგორში არ არსებობს წყალგაყვანილობის სისტემა, მოუწესრიგებელია მდინარე ლაჯანურის სანაპირო ზოლი. წინა წლებში გამოიყო თანხა ნაპირსამაგრი და წყლის სისტემების შორის რიგების პროექტებისთვის, თუმცა პროექტი ამ დრომდე არ დასრულებულა.

### 5.16. შესველრა გურიაში, ლანჩხუთის გამგებელთან

**26 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი გურიაში მაკა მალაყმაძე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ზაზა ურუშაძეს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებს, 2016 წლის ზამთარში, სტიქის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხსა და რეგიონში არსებული დასუფთავების სამსახურის პრობლემას.

### სამედიალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ლონისტივები

#### 5.17. სახალხო დამსახულის აღამიანის უფლებათა აკადემიის ტრანსიზი მშირე საოჯახო ტიპის გავრცელების სახლების ფსიქოლოგიური მიზანით

**18-22 აპრილს** სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების 22 ფსიქოლოგს ჩაუტარა ტრენინგი ტრენერებისთვის თემაზე „ბავშვის ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული საჭიროებების იდენტიფიკაციის უნარების განვითარება“.

ტრენინგს გაუძლვნენ ვილნიუსის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის დეპარტამენტის პროფესორი დაინიუს პიურასი, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ფსიქოლოგი ეკატერინე თავართეილაძე და სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელი მაია გედევანიშვილი.

ტრენინგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

### 6. ნარჩატებული საქმეები

#### 6.1. საქართველოს ეროვნული სააგენტო სააგურებლის უფლებათა საკითხების შესრულება

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ **18 აპრილის** გადაწყვეტილებით სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე და ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტს უძრავ ქონებაზე 6.მ.-ს საკუთრების უფლების რეგისტრაცია დაავალა.

6.მ.-მ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობის საფუძველზე მოიპოვა. საჯარო რეესტრმა 6.მ.-ს უფლების რეგისტრაციისთვის სახელმწიფოსგან თანხმობის წარმოდგენა მოსთხოვა, იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში.

სახალხო დამცველმა თავის რეკომენდაციაში მიუთითა, რომ კომისიის მიერ გაცემული მოწმობა წარმოადგენს საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია სახელმწიფოსგან დამატებითი თანხმობის მოთხოვნის გარეშე დაარეგისტრიროს საკუთრების უფლება.

### 7. ლირსშესანიშნავი თარიღები

#### 7.1. საქართველოს სახალხო დამსახული ასურებების ახალი ნლი დღეს ულოცავს

**1 აპრილს** ასურელები ახალი ნლის დღესასწაულს, აკიტუ-ხაბ-ნისანს აღნიშნავენ. 2016 წლის პირველ აპრილს, მათი კალენდრის მიხედვით, 6766 წელი დადგა. ამ დღეს ასურელები გაზაფხულის დადგომას, ბუნებისა და სიცოცხლის განახლებას ნაციონალური სიმღერებითა და ცეკვით აღნიშნავენ.

საქართველოს სახალხო დამცველი ბედნიერ, მშვიდობიან და კეთილდღეობით აღსავს წელს უსურვებს საქართველოში მცხოვრებ ასურელ თემს.

## 7.2. საქართველოს სახალხო დამსახურის განხსნალება აუტიზმის შესახებ სლობირების ახალლაპის მსოფლიო დღისთან დაკავშირებით

**2 აპრილი** აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღეა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის თანახმად, ეს დღე 2008 წლიდან აღინიშნება და მისი მიზანია მუდმივად მიაპყროს საზოგადოების ყურადღება აუტიზმის მქონე პირთა მხარდაჭერის საჭიროებაზე, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

2016 წელს ამ დღის თემაა „აუტიზმი და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დღის წესრიგი 2030 წლამდე: ინკლუზია და ნეირო მრავალფეროვნება“.

საქართველოში აუტიზმის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ძირითადად უცვლელია. დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მათი უფლებების სათანადო რეალიზება. ქვეყანაში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები აუტიზმის მქონე ადამიანების შესახებ, რაც პირდაპირ კავშირშია მათთვის აუცილებელი და საჭირო მომსახურების დაგეგმვასა და განხორციელებასთან. არ არსებობს სპეციფიკური სასწავლო სტრატეგიები და მეთოდები; პრობლემას ქმნის პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაცია და არასაკმარისი რაოდენობა, რაც აფერხებს აუტიზმის მქონე ბავშვების სრულფასოვან ინკლუზიას და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, ხოლო საზოგადოებაში არსებული სტიგმა და სტერეოტიპები ხელს უწყობს არასწორი დამოკიდებულების კიდევ უფრო გაღრმავებას.

სახალხო დამცველი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეს კვლავ მოუწოდებს სახელმწიფოს იზრუნოს აუტიზმის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათი შესაძლებლობების ზრდასა და საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაზე, მათთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნასა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის უზრუნველყოფაზე.

## 8. საერთაშორისო სიახლეები აღამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

### 8.1. საქართველო „ფრიდონ ჰაუსის“ ანგარიში

**12 აპრილს** საერთაშორისო დამოუკიდებელმა ორგანიზაცია „ფრიდონ ჰაუსმა“, რომელიც სხვა-

დასხვა ქვეყანაში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით არსებულ ვითარებას სწავლობს, თავისი ყოველწლიური, რიგით 21-ე ანგარიში გამოაქვეყნა – „სახელმწიფოები გარდამავალ ეპოქაში“. ანგარიში ასახავს დემოკრატიის განვითარებას ყოფილი საბჭოთა კავშირის, ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის 29 ქვეყანაში.

ანგარიშის თანახმად, საქართველოში არსებული მმართველობა კვლავაც კლასიფიცირდება გარდამავალ მმართველობად ან პიბრიდულ რეჟიმიდა. შეფასების სისტემაში, სადაც საუკეთესო შეფასება 1 ქულაა და ყველაზე ცუდი – 7, საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობა წელს 4,61 ქულით შეფასდა. სხვადასხვა კრიტერიუმის შეფასებების საშუალო არითმეტიკული არის სწორედ ქვეყნის დემოკრატიის ქულა. კატეგორიაში – „გარდამავალი ხელისუფლება ან პიბრიდული რეჟიმი“, საქართველო მე-17 ადგილზეა მოქცეული. ამავე კატეგორიაშია უკრაინა, მოლდოვა, ბოსნია დერეკივინა, მაკედონია და ალბანეთი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დემოკრატიის მაჩვენებელი ნინა წლის მონაცემთან შედარებით 0,03-ით გაუმჯობესდა.

ცხრილში ქვეყნების საშუალო ქულა რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობითაა გამოყვანილი. საქართველოსთვის ცალკეული კრიტერიუმები ასე გამოიყურება: საარჩევნო პროცესი - 4,5 ქულა, სამოქალაქო საზოგადოება - 3,75, მედიის დამოუკიდებლობა - 4, ქვეყნის მართვის დემოკრატიულობა - 5,5, ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიულობა - 5,25, სასამართლო სისტემა და მისი დამოუკიდებლობა - 4,75, კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობა - 4,5 ქულა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სისტემისა და მისი დამოუკიდებლობის მაჩვენებელი ნინა წლის მონაცემთან შედარებით 0,25 ქულით გაუმჯობესდა.

ანგარიშის მიმოხილვით ნანილში საქართველოს შესახებ აღნიშნულია: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადგილი აქვს გახმაურებული საქმეების პოლიტიზაციას, სასამართლო სისტემის ხარისხი დღითიდებულ უმჯობესდებოდა, რაც იყო იმის დადებითი ნიშანი, რომ პოლარიზებულ სისტემაშიც კი, სტრუქტურულ რეფორმას შეიძლება ჰქონდეს ეფექტი. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება ამ ტენდენციის მდგრადობის სერიოზული გამოცდა“.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ მიგრაციის კრიზისი და მწვავე ეკონომიკური პრობლემები საფრთხეს უქმნის როგორც ევროპის კავშირის არსებობას, ასევე სტაბილურობას ყოფილი საბჭოთა კავშირის დიქტატორულ ქვეყნებში.

## 8.2. აშშ-ს სახელმწიფო დაკარტამენტის ყოველწლიური აგენტიში

**14 აპრილს** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ 2015 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 2012 წელს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად მთავრობის გადაცემა დემოკრატიული გზით პირველად მოხდა, თუმცა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არის რიგი პრობლემები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ადამიანისტრაციულ საზღვარზე რუსეთის, ან დე ფაქტო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების თვითნებური დაკავებები; მნიშვნელოვანი ხარვეზები მართლმსაჯულებაში, მათ შორის სასამართლოზე ზეწოლა საქმეების შერჩევისას, მოსამართლეთა საეჭვო დანიშვნები, ძალადობის შემთხვევებზე მთავრობის შეუსაბამო რეაგირება, დაუსრულებელი გამოძიებები, ქალების, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მთავრობის არასაკმარისი მცდელობები.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში არაერთი მითითება სახალხო დამცველის ანგარიშებზე, რეკომენდაციებსა და აქტივობებზე. მათ შორის, **პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმართ განხორციელებული სამართალდარღვევების დროული გამოძიების, მონიტორინგის დროს აღმოჩენილი პატიმრების ჯანდაცვისა და ღანჩესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ**, მიმართვები მთავარი პროკურატურისადმი იმ პირებისთვის საკუთრების ხელყოფის დროულ გამოძიებასთან დაკავშირებით, ვინც წინა ხელისუფლებას ადანაშაულებს.

**ანგარიშის პირადი ცხოვრების უფლების ნაწილში** მითითებულია, რომ სახალხო დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მოითხოვდა ცვლილებებს კანონმდებლობაში, რომელიც ფარულ მოსმენებს არეგულირებს, რათა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გვერდის ავლით არ განხორციელებულიყო ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

**შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ნაწილში** მითითებულია, რომ სახალხო დამცველმა გააკრიტიკა ტელეკომპანია „რუსთავის 2-ის“ მხარდამჭერი აქტივისტების დაპატიმრება პარლამენტის შენობის წინ შეკრების დროს.

ანგარიშში მიმოხილულია სახალხო დამცველის,

როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის მიერ, დისკრიმინაციის გამოვლენის კუთხით განვითარებული სამუშაო და ის პრობლემური საკითხები, რომელიც მექანიზმის ეფექტიან მუშაობას აპროცესს.

დოკუმენტშიასევეარაერთიმითითებაა გაკეთებული სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და რეკომენდაციებზე, რომელიც ეხება ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირების უფლებრივ მდგომარეობას, გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ გამოწვევებს, ლგბტ პირების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას, ასევე ადრეული ქორწინებისა და ოჯახური ძალადობის შემთხვევებს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნებისა და საერთაშორისო მისიების მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით და იძლევა ადამიანის უფლებების მრავალმხრივ მიმოხილვას 200-მდე ქვეყნისთვის. ანგარიშები ფართოდ გამოიყენება როგორც აშშ-ს ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე სხვა უცხოური მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებების დამცველების, იურისტების, უურნალისტებისა და მკვლევარების მიერ.

## 9. სახალხო დამსახურის აკარატის ამბები

### 9.1. ახალი თანამშრომალი

**14 აპრილიდან** სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ქეთი შუბაშვილმა.

### 9.2. სტატისტიკა


#### მომართვიანობის სტატისტიკა

აპრილის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 747 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 599 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი-16
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი-56
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი-266
- რეგიონული დეპარტამენტი-185
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი-19
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი-16


- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი-12
- ანალიტიკური დეპარტამენტი-5
- თანასწორობის დეპარტამენტი-23
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი-1



#### შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა-2
- ჯანმრთელობის უფლება-4
- გამოხატვის უფლება-4
- ინფორმაციის მიღების უფლება-49
- დისკრიმინაცია-11
- რელიგიის თავისუფლება-3
- გადაადგილების თავისუფლება-2
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭირება-1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭირება-26

- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები-6
- განათლების უფლება-1
- სანდაზმულთა უფლებები-1
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები-1
- რეპატრიაცითა უფლებები-1
- დევნილთა უფლებები-11
- სოციალური დახმარებს საკითხი-33
- შრომითი უფლებები-7
- საკუთრების უფლება-29
- უფლება სათანადო საცხოვრისზე-6
- პატიმრობის პირობები-209
- ნამება და არასათანადო მოპყრობა-40
- ბავშვის უფლებები-18
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები-12
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები-5



## კონტაქტი

### ცხელი საზო - 1481

#### თბილისი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877

ფაქსი: +99532 913841

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

#### აზურგეთი:

დავით ალმაშვილის 9  
ტელ.: 0496 27 30 53  
მობ.: 593 44 44 27

#### ახალქალაქი:

ჭავჭავაძის 4  
ტელ.: 0362 22 32 83  
მობ.: 577 12 27 70;  
591 96 88 82

#### ზუგდიდი:

კოსტავას 58  
ტელ.: 0415 22 36 11  
მობ.: 595 52 53 56

#### ბათუმი:

მაზნიაშვილის 9  
ტელ.: 0422 27 05 44  
მობ.: 595 80 78 43

#### მარნეული:

რუსთაველის 51  
ტელ.: 0357 22 19 70  
მობ.: 595 52 53 57

#### გორი:

სამების N1  
ტელ.: 0370 27 05 49  
მობ.: 551 66 14 77

#### ქათაისი:

რუსთაველის 18  
ტელ.: 0431 25 33 50  
მობ.: 577 55 33 81

#### თელავი:

ჩოლოებაშვილის 3  
მობ.: 591 88 35 38  
ტელ.: 0350 27 99 27

რედაქტორი: თამარა გოგოლაშვილი

სარედაქტორი კოლეგია:

ლივან მასონრამა.

ნებრ თათულაშვილი